# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

| 1929 წლის დეკემბრის 31. | № 24 განყოფილება პირველი | ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული. |
|---|---|---|


შ ი ნ ა ა რ ს ი:


მუხ. 230. „1929-30 წლისთვის ა/კსფსრ-ში ქალაქად და სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 12-ის დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 231. ყრილობებისა და თათბირების მოწვევის ნებადართვის წესის შესახებ.

„ 232. ა/კსფსრ საბჭოთა ორგანოების მუშაობის დისციპლინის შესახებ.

„ 233. კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის დახმარების გაწევის შესახებ.

„ 234. წყლის გამოსაღების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადაცემის შესახებ.

„ 235. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია „სახლის საბავშვო ბაგათა მუშაობის შესახებ“.


---

## დადგენილება № 199 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**230. „1929-30 წლისთვის ა/კსფსრ-ში ქალაქად და სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 12-ის დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1929-30 წლისთვის ა/კსფსრ-ში ქალაქად და სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 12-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-რი, მუხ. 158) მე-6 მუხლის პირველი აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. ულარიბესი ან სტიქიურ უბედურებათა გამო აოხრებული მეურნეობანი—როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური (კომუნა, არტელი, ამხანაგობა), საგლეხო კომიტეტების მიერ გამოყენებულ მიწის ნაკვეთებზე დათესილი საზოგადოებრივი ნათესები, წითელარმიელთა ოჯახები, მცირეძალოვანი გადასახლებულნი და განსახლებულნი, პირველ წელს მათი დასახლებისას, განთავისუფლდებიან სადასაზღვევო სასყიდლის შეტანისაგან სრულად ან ნაწილობრივ“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. დეკემბრის 14. ტფილისი-სასახლე.

---

## დადგენილება № 195 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 231. ყრილობებისა და თათბირების მოწვევის ნებადართვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყრილობებისა და თათბირების მოწვევა შეუძლიანთ ა/კსფსრ სახელმწიფო დაწესებულებათ, საამიერკავკასიო მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთ, ამიერკავკასიის კოოპერატიულ ცენტრებს და დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მხოლოდ ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ნებართვით, რომელიც საკითხს ყრილობისა თუ თათბირის მოწვევის შესახებ იხილავს მისი მიზანშეწონილობისა და სახსართა ეკონომიის თვალსაზრისით.

**შენიშვნა.** ყრილობისა თუ თათბირის მოწვევას ისეთი საკითხისათვის, რომელსაც აქვს უაღრესი საზოგადოებრივი ან სამეურნეო მნიშვნელობა, ნებას დართავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, სათანადო სახალხო კომისარიატისა თუ ორგანიზაციისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის საერთო წარდგენით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, თავიანთი წესდებისა და დებულების თანახმად, საამიერკავკასიო ყრილობისა და თათბირის მოწვევას ნებას დართავს იმ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა შესდგეს ეს ყრილობა თუ თათბირი.

3. რესპუბლიკანურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებათა და რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა, რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრებისა და საზოგადოებრივი ორგანიზა-

ციების მიერ ყრილობებისა და თათბირების მოწვევის წესი განისაზღვრება, ამა დადგენილებასთან შეფარდებით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 4-ს დადგენილება „ყრილობებისა და თათბირების მოწვევის ნებადართვის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე. 15 №-რი, მუხ. 174) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. დეკემბრის 14. ტფილისი—სასახლე.

---

## დადგენილება № 196 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 232. ა/კსფსრ საბჭოთა ორგანოების მუშაობის დისციპლინის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რათა უზრუნველყოფილ იქნეს ა/კსფსრ-ის ყველა საბჭოთა ორგანოს მუშაობის სრული უნარიანობა მთელი წლის განმავლობაში და სამუშაოთა წლიური გეგმების შესრულება—დაევალოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ერთი კვირის ვადაზე:

ა) ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატების სახალხო კომისრებისა, მათი მოადგილეებისა, აგრეთვე ამიერკავკასიის დაწესებულებათა ხელმძღვანელების შვებულების განაწილების წესი;

ბ) ამიერკავკასიის ორგანიზაციების მიერ თათბირთა მოწვევისა და ამ თათბირებზე რესპუბლიკებიდან მომუშავეების გამოწვევის წესი;

გ) ამიერკავკასიის მომუშავეთა მოსკოვში გამგზავრების წესი;

დ) რესპუბლიკებიდან, ოლქებიდან და მაზრებიდან მომუშავეთა ტფილისში თვითნებისად ჩამოსვლის საწინააღმდეგო წინადადებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბომბინი.**

1929 წ. დეკემბრის 17. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 290 №-ში 1929 წ. დეკემბრის 18-ს

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 233. კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის დახმარების გაწევის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „პერსონალური პენსიის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 3-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-რი, მუხ. 203) 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. პერსონალური პენსია დაენიშნება ისეთ პირს, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის რევოლიუციონურ, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, სამეურნეო ან კულტურულ მოღვაწეობაში, ან სსრკ-ის დაცვის საქმეში, აგრეთვე ისეთ პირს, რომელმაც გამოიჩინა განსაკუთრებული აქტიობა კულაკობასთან ბრძოლაში და ბრძოლის ნიადაგზე დაშავდა, ხოლო ზემოაღნიშნული პირების სიკვდილის შემდეგ პენსია დაენიშნება მათი ოჯახის წევრებს“.

2. შრომის კანონთა კოდექსის 187 მუხლის „ა“ ლიტერს დაემატოს სიტყვები „აგრეთვე კულაკური ძალადობისაგან დაშავებული პირები“.

3. შრომის კანონთა კოდექსის 189 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 189. უკეთუ დაქირავებით მომუშავე პირი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ეს სათანადოდ არის შემოწმებული, აგრეთვე, უკეთუ კულაკური ძალადობისაგან გარდაიცვალა, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მისი ოჯახის შემდეგი წევრები, რომელთაც არა აქვთ საკმარისი სახსარი არსებობისათვის და რომელნიც იმყოფებოდნენ გარდაცვალებულის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე“.

4. შრომის კანონთა კოდექსის $189^2$ მუხლს დაემატოს ლიტ. „ე“ შემდეგი შინაარსისა:

„ე) ან კულაკური ძალადობისაგან“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დეკემბრის 23. ტფილისი-სასახლე.

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 234. წყლის გამოსაღების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადაცემის შესახებ.

„წყლის გამოსაღების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 24-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 49 №-რი, მუხ, 441) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წყალსამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქსელისა და აპარატის შენახვისა და წყლის გამოსაღების დებულების მე-2 მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ზემოხსენებული გამოსაღებიდან თანხები უნდა გადაეცეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ადგილეერივ ბიუჯეტებს ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა წყლის ქსელის ექსპლოატაციისა და წყალსამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატების შესანახი ყველა იმ ხარჯის დასაფარავად, რა ხარჯებიც გათვალისწინებულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოების ხარჯთაღრიცხვებით და შეთანხმებულია სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან.

2. აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა იხმარონ სათანადო ღონისძიება, რათა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტებში შეტანილ იქნეს როგორც წყლის გამოსაღებიდან გადასაცემი თანხები, ისე რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული წყლის ექსპლოატაციისა და წყალსამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატების შესანახად საჭირო ხარჯები.

3. წყლის გამოსაღების ყველა დანარჩენი თანხა მიიქცევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში და დაიხარჯება მარტოოდენ წყლის გამოსაღების დებულების მე-2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებათათვის.

4. გაუქმებულ იქნეს „1929-30 საშენაწერო წელს წყლის გამოსაღების საქმის ჩატარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების მე-IV მუხლის მე-8 პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 № რი, მუხ. 135).

5. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1929 წ. ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დეკემბრის 23. ტფილისი—სასახლე.

# ინსტრუქცია ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. ოქტომბრის 24. № 9.

## 235. სახლის საბავშვო ბაგათა მოწყობის შესახებ.

(გამოცემულია „სახლის საბავშვო ბაგათა მოწყობის შესახებ“ გამოქვეყნებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-რი. მუხ. 161)

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან და დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, ამტკიცებს შემდეგ ინსტრუქციას:

1. გამარტივებული ტიპის საბავშვო ბაგად ითვლება სახლის საბავშვო ბაგა, რომელიც მოეწყობა როგორც ახლად ნაშენებ კოოპერატიულ სახლებში, სახლ-კომუნებში, მუშათა საერთო-საცხოვრებელ სახლებში, ყაზარმებში და მუშებით დასახლებულ ადგილებში, ისე უკვე არსებულ საცხოვრებელ სახლებში, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების ექსპლოატაციაშია ან გადაცემულია იჯარით საშინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის; ამასთანავე, საბავშვო ბაგათა პირვანდელი გაწყობა დაეკისრება შენობის ამგებ ორგანიზაციას.

2. ამ მიზნით, ახალი მშენებლობის წარმოების დროს გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს საბავშვო ბაგათათვის სპეციალური სადგომის გამოყოფა, რა სადგომიც უნდა შეესაბამებოდეს ძირითად სასანიტარო-სატეხნიკო ნორმებს, ხოლო უკვე არსებულ სახლებში მოგვარებულ უნდა იქნეს სათანადო სადგომი.

3. საბავშვო ბაგის სადგომს უნდა ეჭიროს ორი ოთახი ან ერთი დიდი ოთახი (ხოლო არა ნაკლებ, ორსავე შემთხვევაში, ორი კვადრ. მეტრისა თვითეულ ბავშვზე); ამასთანავე, უკეთუ შეუძლებელია ცალკეული სამზარეულოს მოწყობა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახლში საერთო სამზარეულოს სარგებლობის უფლება. ამასთან ერთად, რათა ბავშვები დღისით, როდესაც ეთბილება, ჰაერზე იმყოფებოდნენ, ეზოებში უნდა მოეწყოს სუფთა ბაქანები ან პატარა ბაღები.

4. სახლის საბავშვო ბაგა მომსახურეობას უნდა უწევდეს მარტოოდენ იმ მოსახლეობას, რომელიც უწყებულ სახლთმფლობელობაში ცხოვრობს; ამასთანავე, უპირატესობა უნდა ეძლეოდეს მუშა-ქალთა ბავშვებს და მუშების ცოლთა ბავშვებს.

5. სახლის საბავშვო ბაგის ხარჯი 15 ბავშვზე ორიენტირულად უნდა უდრიდეს 405 მან. თვეში, ან თითო ბავშვზე 27 მან. (თანახმად სანიმუშო ანგარიშისა, რომლის ცალკეული მუხლებიც შეიძლება შეიცვალოს ტეხნიკური და ადგილობრივი პირობების მიხედვით).

6. საბავშვო ბაგაში ბავშვების შენახვა უნდა სწარმოებდეს ნაწილობრივ ამ ბავშვების მშობელთა ხარჯით, ყოველთვიური გადასახადის სახით, დაწყებული 3 მანეთიდან და მეტითაც, სამუშაო-ხელფასისა და ოჯახის წევრთა რიცხვის

მიხედვით; ამასთანავე, ბაგის პირვანდელი გაწყობისათვის უნდა დაწესდეს შესასვლელი გადასახადი 2 მან. რაოდენობით და მეტიც.

7. ჯანმრთელობის ორგანოებს დაეკისრებათ საბავშვო ბაგათათვის მომსახურეობის გამწევი პერსონალის შენახვა და დოტაცია ბავშვთა დამატებითი კვებისათვის (ბავშვთა მშობლების გადასახადის გარდა) ადგილობრივი ბიუჯეტით დედობისა და ჩვილობის დასაცავად გათვალისწინებული სახსარიდან და აგრეთვე დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდიდან. საბავშვო ბაგათა ყველა კომუნალურ ხარჯს ეწევა სახლთმფლობელობა.

8. უკეთუ საბავშვო ბაგები მოწყობილ იქნა საბინაო კოოპერაციის სახლებში, საჭიროა ხარჯებში მონაწილეობა მიიღოს თავისი სახსარით სამომხმარებლო კოოპერაციამ ამ უკანასკნელსა და საბინაო კოოპერაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე (ა/კ. სამომხმ. კოოპ. კავშირისა და ა/კ. საბინაო კოოპ. საბჭოს 1929 წ. აპრილის 8-ის ცირკულიარი).

9. საბავშვო ბაგათათვის სამკურნალო მომსახურეობისა და სამკურნალო ზედამხედველობის გაწევა დაეკისრება იმ უახლოესი კონსულტაციის ექიმს, რომელზედაც მიმაგრებულია საბავშვო ბაგა.

ბავშვთა პატრონაჟს სახლში ეწევა როგორც საბავშვო ბაგის დაი, ისე იმ კონსულტაციის პატრონაჟის დაი, რომელზედაც მიმაგრებულია საბავშვო ბაგა.

10. სახლის საბავშვო ბაგათა მოსაწყობად გადადებული სახსარის ხარჯვა მოხდება იმ გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, რასაც წარადგენენ კოოპერატივის გამგეობა ან მდგმურთა კოლექტივი ადგილობრივ სიბავშვო კომისიასთან ან ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიასთან შეთანხმებით, და რასაც დაამტკიცებს ჯანმრთელობის ადგილობრივი განყოფილება.

**შენიშვნა.** უკეთუ სახლის საბავშვო ბაგა საბინაო კოოპერატივში მოეწყობა, შეთანხმებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საბინაო კავშირმა.

11. მშრომელთა მონაწილეობა საბავშვო ბაგების მუშაობაში უნდა გამოიხატებოდეს საბაგე საბჭოებისა და დამხმარე კომისიების (ბაგათა მეგობარი) მოწყობაში.

12. საბაგო საბჭო შესდგება ბაგათა გამგე-ქალისა, კონსულტაციის ექიმისა, საბინაო კოოპერატივის გამგეობის 1 წარმომადგენლისა (უკეთუ ბაგა მოეწყობა საბინაო კოოპერატივში) და მშობელთა 2—3 წარმომადგენლისაგან, ბაგის მონაწილეთა საერთო კრების არჩევით. საბაგე საბჭო იხილავს ყველ იმ საკითხს, რაც სახლის ბაგათა მოწყობას და მ. თ მუშაობას ეხება; იგი გამოჰყოფს ბაგათა გამგე-ქალის დასახმარად დიასახლისს—მორიგე-ქალს და სხვ. საბაგე საბჭო მუშაობს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

13. დამხმარე კომისიის მიზანს შეადგენს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ბაგათ: გამოსძებნოს სახსარი, გაუწიოს შრომითი დახმარება, მოაწყოს ბავშვთა გასართობები, დღესასწაულები და სხვ. დამხმმარე კომისიაში შესვლა შეუძლიან სახლის ყველა მდგმურს საერთო კრების არჩევით.

14. აღნიშნულ ბაგათა გარდა, შეიძლება მოეწყოს სახლის კოოპერატიული საბავშვო ბაგები, რომლებიც იარსებებენ თვითხარჯთანაზღაურების პრინციპზე,

რისთვისაც მშობლებს გადაახდევინებენ ბაგაში მოთავსებულ ბავშვზე სასყიდელს თვითღიოებულობის მიხედვით.

ასეთ ბაგაში მიიღება იმავე სახლში მობინადრე, უფრო მაღალი სასყიდლის მქონე, მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვები.

15. კოოპერატიულ ბაგაში ადგილთა ერთი ნაწილი დაბრონირებულ უნდა იქნეს უფასოდ იმ მუშა-ქალების ბავშვებისათვის, რომელთაც უფრო მცირე სასყიდელი აქვთ; ამ საქმეში თავიანთი სახსარით მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, „ბავშვთა მეგობრის“ საზოგადოებამ, საბავშვო კომისიამ და ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიამ და სხვ.

16. კოოპერატიულ საბავშვო ბაგათა მოწყობისა და მათთვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმე თავმოყრილ უნდა იქნეს საბაგე კოოპერატიულ საბჭოში, რომელსაც აარჩევენ ბაგაში მონაწილე წევრები.

17. მეთვალყურეობა ამა ინსტრუქციის განხორციელებისათვის დაეკისრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს; საერთო კონტროლის გაწევა სახლის ბაგათა მოქმედებისათვის დაეკისრება ჯანმრთელობის ადგილობრივ განყოფილებებს.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კ-ტის სამუშე
ბინათმშენებლობის სექციის გამგე **განჯუმოვა.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 295 №-ში 1929 წ. დეკემბრის 24-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 287. ტირაჟი № 850.